

გამოყენების ინსტრუქცია

ინგალიპტი – N

INGALIPT – N



პრეპარატის სავაჭრო დასახელება: ინგალიპტი – N

მოქმედი ნივთიერება (საერთაშორისო არადაპატენტებული დასახელება):

ხსნადი სტრეპტოციდი, სულფათიაზოლის ნატრიუმის ჰექსაჰიდრატიტი;

სამკურნალო ფორმა: პირის ღრუს სპრეი

შემადგენლობა:

აქტიური ნივთიერება: ხსნადი სტრეპტოციდი, სულფათიაზოლის ნატრიუმის ჰექსაჰიდრატიტი;

1 ბალონი შეიცავს ხსნადი სტრეპტოციდის 0,75 გ.

სულფათიაზოლის ნატრიუმის ჰექსაჰიდრატიტი - 0,75გ;

დამხმარე ნივთიერებები:

თიმოლი, პიტნის ზეთი, ევკალიპტის ზეთი, გლიცერინი, ეთანოლი 96%, პოლისორბატი 80, საქაროზა, გასუფთავებული წყალი.

აღწერილობა: გამჭვირვალე სითხე ღია-ყვითელი ან მუქი-ყვითელი ფერის სპეციფიკური სუნით.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: საშუალება, რომელიც გავლენას რესპირატორულ სისტემაზე.

პრეპარატები, ყელის დაავადების დროს. ანტისეპტიკები. სხვადასხვა ანტისეპტიკები.

ATC Code: R02AA20.

ფარმაცოლოგიური თვისებები

ფარმაცოდინამიკა

ინგალიპტი–N–ს გააჩნია ანტიბაქტერიული და ანთების საწინააღმდეგო, ასევე გამაგრილებელი და ყურადღების გადამტანი მოქმედება, აღნიშნული ფარმაცოლოგიური თვისებების მქონე ნაერთები უზრუნველყოფენ ზედა სასუნთქი გზებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების კომპლექსურ პათოგენეტიკურ თერაპიას. ინგალიპტი – N არ ავლენს ულცეროგენულ და ზოგად ტოქსიურ მოქმედებას ორგანიზმზე.

ფარმაცოკინეტიკა

ინგალიპტი–N განკუთვნილია ადგილობრივი გამოყენებისათვის და ჰქმნის თერაპიულ კონცენტრაციას უპირატესად ანთების კერაში. სისტემურ სისხლის მიმოქცევაში ნაწილობრივ შეიწოვება

სულფანილამიდები (ხსნადი სტრუქტოციდი და ნატრიუმის სულფათიაზოლი), რომლებიც უკუშეკავშირდებიან სისხლის ცილებს: სტრუქტოციდი ხსნადია 12-14%-ით, ნატრიუმის სულფათიაზოლი – 55%-ით. ბიოტრანსფორმაციის პროცესში წარმოიქმნება სულფანილამიდების აცეტილირებული ფორმები, რომლებითაც გამოიყოფიან თირკმლებით. სტრუქტოციდის ნახევრად დაშლის პერიოდი შეადგენს 10 საათს, ნატრიუმის სულფათიაზოლი – 1,2 საათს.

ჩვენება

ყელ-ყურ-ცხვირის ორგანოებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების (ტონზილიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, აფტოზური და წყლულოვანი სტომატიტი) ადგილობრივი მკურნალობა.

გამოყენების წესები და დოზები

გამოიყენება მოზრდილებში და ბავშვებში 3 წლის ასაკიდან პირის ღრუს, ხახისს და ცხვირის ლორწოვან გარსზე შესხურების გზით.

მოზრდილებში შესხურება ხდება დღეში 3-4-ჯერ.

3 წლის ასაკის ბავშვებში შესხურება ხდება დღეში 1-2ჯერ, თუ არ არის ექიმის განსაკუთრებული მითითება.

პრეპარატის გამოყენების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობაზე და ხშირად შეადგენს 3-10 დღეს.

გამოყენების ხანგრძლივობა და სიხშირე დგინდება ინდივიდუალურად ექიმის მიერ და დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე!

ბალონის მოხმარების წესები.

1. ბალონს მოხსენით დამცავი თავსახურავი.
2. ბალონს მოაცივით ყელის შესასხურებელი, რომელიც თან მოჰყვება, წინასწარ დარწმუნდით მის სისუფთავეში.
3. ბალონი რამდენჯერმე შეანჯღრით და არაუმეტეს 7-ჯერ დააჭირეთ შესასხურებელს დისპეპსიური ნაკადის წარმოქმნამდე. ნაკადის არარსებობისას დასაშვებია მოქმედების განმეორება კიდევ ერთხელ.
4. შესასხურებლის თავისუფალი კიდე შეიყვანეთ პირის ღრუში და ბალონის ვერტიკალურად დაჭერით, დააჭირეთ შესასხურებელს. მორწყვის ერთ სეანსზე სრულდება ინგალიპტი-N-ს 2-3 გამოფრქვევა.
5. შესხურების დასრულებისას, შესასხურებელი ღერძი მოხსენით ბალონს და ბალონს დაახურეთ დამცავი თავსახურავი, მისი დაბინძურებისაგან დასაცავად.
6. შესასხურებელი უნდა შევინახოთ სუფთა მდგომარეობაში, პრეპარატის გამოყენების შემდეგ გავრეცხოთ თბილი წყლით და გავამშრალოთ თბილ ადგილას.



უკუჩვენებები

ჰიპერმგრძობელია პრეპარატის კომპონენტების მიმართ, ანამნეზში სულფანილამიდებზე მძიმე ტოქსიკო-ალერგიული რეაქციების არსებობა.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატი, როგორც წესი, კარგად აიტანება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია:

იმუნური სისტემის მხრივ: ალერგიული რეაქციები, ანგიონევროზული შეშუპების ჩათვლით, ბრონქოსპაზმი.

კანის მხრივ: გამონაყარი, ქავილი, ჭინჭრის ციება, შეშუპება კონტაქტის ადგილას.

საჭმლის მომწელებელი სისტემის მხრივ: გულისრევა, ღებინება, ადგილობრივი ეფექტები (გულმძარვა პირში, ბურთის გაჩხერა ყელში ან ფხაჭნის შეგრძნება).

სხვა: საერთო სისუსტე, სუნთქვის გაძნელება.

ნებისმიერი გვერდითი მოვლენის ან უჩვეულო რეაქციის განვითარების შემთხვევაში აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია პრეპარატის შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით.

სხვა წამლებთან ურთიერთქმედება

თუ თქვენ იღებთ სხვა სამკურნალო საშუალებებს, აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია პრეპარატის შემდგომი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ!

შესაძლებელია პრეპარატის ანტიმიკრობული მოქმედების შესუსტება პარა-ამინობენზოის მჟავას წარმოებულებთან (ნოვოკაინი, ანესთეზინი, დიკაინი) ერთად.

განსაკუთრებული მითითებანი

პრეპარატის გამოყენებისას პირებში ალერგიისადმი მიდრეკილებით, საჭიროა ექიმთან კონსულტაცია!

ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ შეიძლება პრეპარატის გამოყენება დადგენილი ვადის ზემოთ!

აუცილებლად აცნობეთ ექიმს ამ ჯგუფის პრეპარატის გამოყენებისას განვითარებული წინა რეაქციის შესახებ.

არ შეიძლება პრეპარატის მოხვედრა თვალში.

პირველი გამოყენების წინ აუცილებელია არა უმეტეს 7-ჯერ დაჭერა შესასხურებელზე დისპეპსიური ნაკადის წარმოქმნამდე. ნაკადის არარსებობისას დასაშვებია მოქმედების განმეორება.

პრეპარატის გამოყენების წინ რეკომენდებული პირის გამორეცხვა თბილი ანადუღარი წყლით. პირის ღრუს (წყლული, ეროზიები) დაზიანებული უბნებიდან სტერილური ტამპონების გამოყენებით მოაცილეთ ნეკროზული ნადები.

პირის ღრუს პრეპარატით მორწყვის შემდეგ მოერიდეთ საკვების მიღებას 15-30 წუთის განმავლობაში.



პრეპარატის გამოყენების შემდეგ უნდა მოიხსნას ყელის შესასხურებელი ღერძი და გაირეცხოს თბილი წყლით. ბალონს დაახურეთ დამცავი თავსახურავი, მისი დაბინძურებისაგან დასაცავად.

ბავშვებში პრეპარატის გამოყენებისას ბავშვებში უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრეპარატის ერთჯერადი დოზა, რომლის შესხურება ხდება 1-2 შესხურებაზე, შეიცავს 0,0076-0,0152 მლ ეთანოლს (96%), რაც შეადგენს ერთჯერად მიღებაზე: 3-5 წლის ბავშვებისთვის (წონა 15-21 კგ) 0,0004-0,0013 მლ/კგ-ს, 6-12 წლის ბავშვებისათვის (21-38 კგ) 0,0002-0,0007 მლ/კგ-ს.

ვინაიდან სამკურნალო საშუალება შეიცავს საქაროზას, პაციენტებში იშვიათი თანდაყოლილი ფრუქტოზას აუტანლობით, გლუკოზო-გალაქტოზური მალაბსორბციის სინდრომით ან საქაროზა-იზომალტოზას უკმარისობით აღნიშნული პრეპარატის გამოყენება არ შეიძლება.

ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს გამოყენება

პრეპარატის გამოყენება ორსულობის დროს და ძუძუთი კვების დროს შესაძლებელია ექიმის კონტროლის ქვეშ, სარგებელი/რისკის გათვალისწინებით და პრეპარატის დოზირების რეჟიმის მკაცრი დაცვით.

ავტოტრანსპორტის მართვისა და სხვა მექანიზმებთან მუშაობის დროს რეაქციის სისწრაფეზე ზეგავლენის უნარი

პრეპარატი ზეგავლენას არ ახდენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე, თუმცა ავტოტრანსპორტის მძღოლებმა უნდა გაითვალისწინონ ალკოჰოლზე ტესტზე ცრუ-შედეგების შესაძლებლობა.

ბავშვები

პრეპარატი არ გამოიყენება 3 წლამდე ასაკის ბავშვებში. სიფრთხილით გამოიყენება ბავშვებში 3 წლიდან ევკალიპტის ეთერული ზეთებისა და პიტნის შემცველობით განპირობებული რეფლექტორული ბრონქოსპაზმის განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ბავშვების მკურნალობა ტარდება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

ჭარბი დოზირება

ჭარბი დოზირების შემთხვევები აღწერილი არ არის. შესაძლებელია გვერდითი მოვლენების გაძლიერება.

მკურნალობა: პრეპარატის მოხსნა, პირის ღრუს გამორეცხვა თბილი ანადუღარი წყლით.

თერაპია სიმპტომატურია.

გამოშვების ფორმა

30 გ ალუმინის ბალონში შესასხურებელით და დამცავი თავსახურავით.

ვარგისობის ვადა

2 წელი.



პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

შენახვის პირობები

ინახება არა უმეტეს 25°C ტემპერატურის პირობებში.

ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას, ცეცხლისგან მოშორებით.

გაცემის წესი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი

შპს "მიკროფარმი".

უკრაინა, 61013, ქ.ხარკოვი, შევჩენკოს ქ. 20

მწარმოებლის ადგილმდებარეობა და მისი საქმიანობის მისამართი

შპს "მიკროფარმი".

უკრაინა, 61013, ხარკოვი, შევჩენკოს ქ. 20

შპს "მიკროფარმი" გენერალური დირექტორი

ა.ვ პოლიანოვსკი

